ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №1628810

ნომერი: AR1269464

თარიღი : 29.11.2014

გაცემის თარიღი : 05.12.2014

გაცნობის თარიღი : 06.12.2014

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გამზირი აკაკი წერეთელი , N 67 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ნია მგალობლიშვილი პ/ნ 01033000132
- თბილისი ი.ჭავჭავაძის გამზ. N 51 კორ. 2 ბ. 2

ნომენკლატურა :

- I კლასი
- ანტრესოლის, კიბის, ვიტრინის, კარის, ფანჯრის და სხვა ღიობის მოწყობა ან დემონტაჟი კორექტირება
- აბრებისა და რეკლამების განთავსება კორექტირება

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურში განხილულ იქნა თქვენ მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რასთან დაკავშირებითაც გაცნობებთ, რომ სამსახურს შესაძლებლად მიაჩნია აღნიშნულის განხორციელება, თუმცა შესაბამისი წერილობითი თანხმობის მისაღებად საჭიროა გაითვალისწინოთ შემდეგი:

- მოთხოვნის ტექსტში დეტალურად აისახოს თუ რაში მდგომარეობს სამსახურის მიერ №1577863 გადაწყვეტილებით შეთანხმებული კორექტირებული ფოტომოტნაჟის კორექტირება.
- ვინაიდან სამსახურის მიერ გაცემული №1397816 წერილობითი თანხმობის შემდეგ გაიცა აღნიშნული გადაწყვეტილებით შეთანხმებული სამუშაოების კორექტირებაზე №1577863 წერილობითი თანხმობა, საჭიროა "სამსახურის მიერ გაცემული წერილობითი დადასტურების ან შეთანხმებული პროექტის ან მშენებლობის ნებართვის ბრძანების რეკვიზიტები"-ს ველი ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად №1577863 05.11.2014წ.
- ვინაიდან საჯარო რეესტრის ამონაწერის თანახმად სარეკონსტრუქციო ფართის მესაკუთრეა შპს "ბლაუენშტაინ საქართველო", რომლის ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილი პირია მოქ. როსტომ კერვალიშვილი, საჭიროა "არსებობის შემთხვევაში წარმომადგენელის მინდობილობა/რწმუნებულება"-ს ველში ატვირთოთ მოქ. როსტომ კერვალიშვილის მინდობილობა გაცემული თქვენ სახელზე ან აღნიშნული პიროვნება დარეგისტრირდეს თანაგანმცხადებლად.

გაცნობებთ, რომ ხარვეზების გამოსწორებისთვის გეძლევათ 15 სამუშაო დღე. მოცემულ ვადაში ხარვეზების შეუსრულებლობის შემთხვევაში განცხადება დარჩება განუხილველი.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის.: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე–12 კილომეტრი #6) მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.